ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

იურიდიული საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **10-01213631723**
თარიღი: **29/12/2021**
პინი: **7044**

ადრესატი: პაატა მაისურაძე
პირადი ნომერი: 05001000617
მისამართი: ასპინძა, გოგებაშვილის #8

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი 2021 წლის 24 დეკემბერის N19/0121358904-01 განცხადების პასუხად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურიდან მოწოდებულ ინფორმაციას.

დანართი: 8 ფურცელი.

პატივისცემით,

ილია გელაშვილი

იურიდიული საქალაქო სამსახური-საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(განყოფილების უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 13-01211753517
თარიღი: 24/06/2021
პინი: 8297

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

დაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სსიპ-თბილისის არქიტექტურის სამსახურის

უფროსს ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-7 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – თბილისი) მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მერიის სისტემაში (თბილისის მერიის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა და თანამდებობის პირები, თბილისის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, თბილისის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, თბილისის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები) შიდა აუდიტისა და ინსპექტირების განხორციელებას, აგრეთვე თბილისის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული სამეწარმეო იურიდიული პირების (შემდგომში – თბილისის სამეწარმეო იურიდიული პირები), მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისა და მათი თანამშრომლების საქმიანობის ინსპექტირებას, აგრეთვე თბილისის მერიის (თბილისის მერიის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა და თანამდებობის პირები), ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფასა და მოსამსახურეთა/თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოების ორგანიზებასა და მართვას.

კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური მონაწილეობს მუნიციპალიტეტების დონეზე საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის შემუშავების პროცესში, რის შედეგადაც სამსახურს დანერგილი აქვს მიმდინარე მონიტორინგის სისტემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში კორუფციის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, რის შესახებაც გამოცემულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 1 ნოემბრის N41.01.792 განკარგულება,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში ნებართვის გაცემის პროცედურებზე მიმდინარე მონიტორინგისა და შემდგომი კონტროლის ღონისძიებების განხორციელებაზე უფლებამოსილების მინიჭებისა და შესაბამისი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“. მიმდინარე მონიტორინგის ზემოაღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, სამსახურმა განახორციელა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში შესული განაცხადების შესწავლა და პრევენციული ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობს სამსახურში შესული მოთხოვნების დამუშავებას, ობიექტების ადგილზე დათვალიერებას და კანონშეუსაბამო ქმედებების გამოვლენას, რის საფუძველზეც, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-7 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახური მოგმართავთ მითითებით უკანონო ქმედებათა აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე. სამსახურის მიერ გამოვლენილ იქნა ამჟამად თქვენს სამსახურში განხილვის პროცესში მყოფი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურისთვის ფიზიკური და იურიდული პირების მხრიდან წარდგენილი განაცხადებისა და მათზე თანდართული დოკუმენტაციის არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამობები, შესაბამისად წარმოგიდგენთ აღნიშნულის ამსახველ ფოტომასალას, ოთხი ობიექტის (AR1831746, [redacted] და [redacted]) აღწერას და უფლებამოსილების ფარგლებში მოგმართავთ მითითებით საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის სტადიაზე გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული და გაატაროთ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები. ასევე გაცნობებთ რომ, ზემოაღნიშნული შეუსაბამობების შესახებ, სათანადო ღონისძიებების გატარების მიზნით მითითება მიეცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ ინსპექციას.

გატარებული ღონისძიებების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ.

პატივისცემით,

ბადრი გიორგიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განმცხადებლის მიერ წარდგენილი არსებული მდგომარეობის ფოტო

ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ





განმცხადებლის მიერ წარდგენილი შეთანხმებული პროექტის ფოტომონტაჟი

ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ





განმცხადებლის მიერ წარდგენილი კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი

ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.ჰ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ



განმცხადებლის მიერ წარდგენილი კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ




ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ
ᲖᲔᲓᲐᲞᲘᲠᲘ +15.05 ᲓᲝᲜᲔᲖᲔ
1
2A
2A


2A
2A

ფაქტობრივი მდგომარეობა 23.06.2021

ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ

(სართულებზე შეცვლილია გეგმარებები)



განაცხადის ნომერი	საკადასტრო	მისამართი	ნომენკლატურა	განმცხადებლის სახელი და გვარი
AR1831746	01.11.13.001.071 ;	ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთი N1/29);	ნომენკლატურა : მრავალფუნქციური კომპლექსიშენობა IV კლასი შეთანხმებული პროექტის ცვლილება	ს.ს. ამხანაგობა დარიალი N1/29
[redacted]	[redacted]	[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]		[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]	[redacted]	[redacted]	[redacted]	[redacted]

განაცხადის ნომერი	საკადასტრო	მისამართი	ნომენკლატურა	განმცხადებლის სახელი და გვარი
AR1831746	01.11.13.001.071 ;	ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი , შ.პ.ს "დარიალი"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთი N1/29);	ნომენკლატურა : მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა IV კლასი შეთანხმებული პროექტის ცვლილება	ე.ს. ამხანაგობა დარიალი N1/29
[redacted]	[redacted]	[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]		[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]	[redacted]	[redacted]	[redacted]	[redacted]